რეგიონალური ტელევიზიების მონიტორინგი

საპრეზიდენტო არჩევნები 2013

პროექტი # S-13-238

საანგარიშო პერიოდი: 14 - 20 ოქტომბერი, 2013 წელი

მონიტორინგის მესამე ეტაპის ძირითადი მიგნებებია:

- წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით მოიმატა მონიტორინგის სუბიექტების გაშუქებამ;
- გაიზარდა საპრეზიდენტო კანდიდატებისთვის დათმობილი დრო: შუქდებოდა როგორც წინასაარჩევნო შეხვედრები, ასევე პრეზიდენტობის კანდიდატების საარჩევნო პროგრამები;
- ტელეკომპანიათა უმრავლესობაზე ყველაზე მეტი დრო დაეთმოთ: კოალიცია "ქართულ ოცნებას", "ერთიან ნაციონალურ მოძრაობას", "დემოკრატიულ მოძრაობა - ერთიანი საქართველოსთვის" და მათ საპრეზიდენტო კანდიდატებს;
- საპრეზიდენტო კანდიდატების პროგრამების შესახებ საინტერესო თოქ-შოუები მომზადდა;
- ტელეკომპანიების უმრავლესობაზე საინფორმაციო გამოშვებების მთავარ პრობლემად კვლავ მოვლენების ზედაპირული გაშუქება რჩება;
- საანგარიშო პერიოდის განმავლობაში არ გამოვლენილა ხმით/მუსიკით მანიპულირების შემთხვევები;

ანგარიში წარმოადგენს "ინტერნიუსი - საქართველოს" მონიტორინგის ჯგუფის მიერ 2013 წლის 14 - 20 ოქტომბრის მანძილზე ჩატარებული კვლევის შედეგებს.

მედიის მონიტორინგი ხელს უწყობს მისი პროფესიული სტანდარტის ზრდას და დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი ჟურნალისტიკის განვითარებას.

ჩვენი კვლევის მიზანია საქართველოს რეგიონალური ტელემაუწყებლების საღამოს ეთერში (19:00 - 24:00 სთ.) გასულ საინფორმაციო გამოშვებებსა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემებზე დაკვირვებით გამოვავლინოთ რეგიონალური ტელემაუწყებლების მიერ წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქების მიმდინარეობა და ტენდენციები.

ანალიზი და მეთოდოლოგია

კვლევა განხორციელდა საქართველოს 12 რეგიონალურ ტელემაუწყებელზე: *"25-ე არხი" (ქ. ბათუმი), "რიონი" (ქ. ქუთაისი), ქვემო ქართლის ტელე/რადიო კომპანია (ქ. რუსთავი), "ოდიში" (ქ. ზუგდიდი), "თანამგზავრი" (ქ. თელავი), "მე-9 არხი" (ქ. ახალციხე), "თრიალეთი" (ქ. გორი), "გურია" (ქ. ოზურგეთი), "იმერვიზია" (ქ. ჭიათურა), "გურჯაანი" (ქ. გურჯაანი), "მეგა ტვ" (ქ. ხონი), "მე-9 ტალღა" (ქ. ფოთი).*

დაკვირვება მიმდინარეობდა რეგიონალური ტელემაუწყებლების საღამოს (ე.წ. "პრაიმ-ტაიმის", როდესაც მაყურებელთა რაოდენობა პიკს აღწევს) გადაცემებზე: საინფორმაციო გამოშვებებზე, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თოქ-შოუებზე, სოციალურ რეკლამებზე.

საინფორმაციო გამოშვებების მონიტორინგი

მონიტორინგის მეთოდოლოგია ეფუძნება რაოდენობრივ და თვისებრივ კვლევებს. რაოდენობრივი მონიტორინგი განსაზღვრავს რაოდენობრივ ინდიკატორებს, რომლებიც შეიძლება დაითვალოს და გაანალიზდეს. ხოლო თვისებრივი მონიტორინგი გამოიყენება მედიის საშუალებების მუშაობის ეფექტურობის შესაფასებლად ისეთ მაჩვენებლებთან მიმართებაში, როგორიცაა ეთიკური ან პროფესიული სტანდარტები, რომელთა რაოდენობრივად გაზომვა რთულია. კერძოდ, ყურადღება ექცევა ინფორმაციის დამახინჯებას, დაუბალანსებელ გაშუქებას, ტენდენციურობას და ნებისმიერ ისეთ ფაქტს, რომელიც მნიშვნელოვანია ინფორმაციის ხარისხის წარმოსადგენად.

რაოდენობრივი მონაცემები მოიცავს ეთერში გასული იმ სიუჟეტების ქრონომეტრაჟს (წამი), რომლებიც ჩვენს მიერ შერჩეული სუბიექტების შესახებ მომზადდა ან სადაც ისინი ნახსენები იყვნენ. დრო ითვლება, როდესაც სუბიექტზე საუბრობს საინფორმაციო გამოშვების წამყვანი, სიუჟეტის ჟურნალისტი ან სიუჟეტის ნებისმიერი რესპონდენტი. ასევე ითვლება დრო, როდესაც სუბიექტი უბრალოდ ჩანს ეკრანზე, ან ჩანს მისი ფოტო, პლაკატი ან სხვა ნებისმიერი ვიზუალური მასალა (იმ შემთხვევაში, თუ ამ დროს მასზე არ საუბრობენ).

მონიტორინგის დროს ყურადღება ექცევა სუბიექტი თვითონ საუბრობს თუ მასზე სხვები (ჟურნალისტი ან რესპონდენტი) საუბრობენ. იმ შემთხვევებში, როდესაც მონიტორინგის სუბიექტები თავად საუბრობენ (ისმის ხმა) დრო ითვლება, როგორც პირდაპირი გაშუქება; როდესაც სუბიექტებზე საუბრობენ სხვები, ჟურნალისტები ან რესპონდენტები, დრო ითვლება, როგორც ირიბი გაშუქება.

გაშუქების ტონი ენიჭება მონიტორინგის ყველა სუბიექტს. ტონის შესაფასებლად არსებობს სამი კატეგორია: დადებითი, ნეიტრალური და უარყოფითი. ყოველთვის, როდესაც ითვლება სუბიექტისთვის დათმობილი დრო, იქვე ფასდება ტონიც, ანუ რაოდენობრივად ითვლება, რამდენი წამის/წუთის განმავლობაში საუბრობდნენ ამა თუ იმ სუბიექტზე კონკრეტული ტონით. ტონის შეფასებისას ყურადღება ექცევა არა მხოლოდ ტექსტის შინაარსს, არამედ კონტექსტსაც.

თვისებრივი მონაცემების საფუძველზე მოხდება მედიის მუშაობის ეფექტურობის ეთიკური და პროფესიული სტანდარტების დაცვის თვალსაზრისით შეფასება. თვისებრივი ნაწილი აერთიანებს ისეთ კომპონენტებს როგორიცაა: ბალანსი, მიუკერძოებლობა, სიზუსტე (არის თუ არა შეცდომები სახელწოდებებში, რიცხვებში, რესპონდენტების ვინაობაში), ფაქტებზე დაფუძნებული გაშუქება, ახალი ამბების იგნორირება, მოვლენების დროული გაშუქება, ჟურნალისტის ლექსიკა, "ფარული პოლიტიკური რეკლამის" გამოყენების ფაქტები და ყველა იმ მნიშვნელოვან ასპექტს, რომელიც არ იზომება რაოდენობრივად. ასევე ყურადღება ექცევა კადრებითა და მუსიკით მანიპულირების შემთხვევებს.

მონიტორინგის სუბიექტები არიან: პარლამენტის თავმჯდომარე, დამოუკიდებელი დეპუტატები, პრეზიდენტი, მთავრობა, პრემიერ-მინისტრი, ცენტრალური საარჩევნო კომისია, ადგილობრივი ხელისუფლება (დაკონკრეტების გარეშე), აჭარის მთავრობა, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, კოალიცია "ქართული ოცნება", ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო, თავისუფალი დემოკრატები (კოალიცია), ეროვნული ფორუმი (კოალიცია), საქართველოს რესპუბლიკური პარტია (კოალიცია), საქართველოს კონსერვატიული პარტია (კოალიცია), მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს (კოალიცია), ხალხის პარტია, საქართველოს გზა, თავისუფალი საქართველო, ახალი მემარჯვენეები, დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოსთვის, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, ლეიბორისტული პარტია, საქართველოს დემოკრატიული პარტია, ქართული დასი, ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა, ევროპელი დემოკრატები, ასევე პრეზიდენტობის ყველა კანდიდატი ცალკ-ცალკე.

მონიტორინგის შედეგები არხების მიხედვით:

"25-ე არხი" (ქ. ბათუმი) - მესამე საანგარიშო პერიოდში მონიტორინგის საათებში არხზე ყოველდღიურად საინფორმაციო გადაცემა „მაცნე“ გადიოდა. ახალ ამბებში მონიტორინგის სუბიექტებს ჯამში 31 წუთი დაეთმოთ.

გაიზარდა პოლიტიკური პარტიებისა და საპრეზიდენტო კანდიდატების გაშუქება. „მაცნეში“ ყველაზე დიდი დროით „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (6 წთ.), კოალიცია „ქართული ოცნება“ (5 წთ.) და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა (3 წთ.) გაშუქდნენ. საინფორმაციო გამოშვებებში 50 წამზე მეტი დროით ხუთი საპრეზიდენტო კანდიდატი იყო წარმოდგენილი: ნინო ბურჯანაძე ("დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოსთვის"), შალვა ნათელაშვილი ("ლეიბორისტული პარტია"), გიორგი თარგამაძე ("ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა"), დავით ბაქრაძე ("ერთიანი ნაციონალური

მოძრაობა") და გიორგი მარგველაშვილი (კოალიცია "ქართული ოცნება"). არჩევნებში მონაწილე სუბიექტები ძირითადად ირიბად შუქდებოდნენ. ნაკლები იყო პირადად პრეზიდენტობის კანდიდატებისთვის დათმობილი დრო. მათზე, ძირითადად, წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქების დროს მხარდამჭერები ან ოპონენტები საუბრობდნენ.

გაშუქების ტონი საპრეზიდენტო კანდიდატებთან ნეიტრალური ან პოზიტიური იყო. მონიტორინგის სუბიექტებიდან ნეგატიური ტონი მხოლოდ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის, პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის მიმართ დაფიქსირდა. აჭარისა და საქართველოს მთავრობის მისამართით ნეგატიური ტონი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელთა შეფასებებიდან გამომდინარეობდა, ხოლო პრეზიდენტის მიმართ გამოვლენილი ნეგატიური ტონი 15 ოქტომბრის „მაცნეში“ "უფლებადამცველთა გაერთიანებამ“ დააფიქსირა: სიუჟეტში პრეზიდენტის მიერ თურქეთში მცხოვრები ეთნიკური ქართველებისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების ფაქტი იყო შეფასებული.

საინფორმაციო გამოშვება აქტიურად აშუქებდა რეგიონის ახალ ამბებს: საკრებულოებში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობასა და უმაღლეს საბჭოში მიმდინარე პროცესებს. სიუჟეტებში, ძირითადად, დაცული იყო ბალანსი და მიუკერძოებლობა. ჟურნალისტები ცდილობდნენ ყველა მხარის პოზიციის წარმოჩენას და აშუქებდნენ ოპონენტების კომენტარებს.



"რიონი" (ქ. ქუთაისი) - საანგარიშო კვირის განმავლობაში მონიტორინგის სუბიექტებიდან ყველაზე დიდი დრო მთავრობას, „ერთიან ნაციონალურ მოძრობასა“ და პრეზიდენტს დაეთმოთ. არხზე სუბიექტები ჯამში საათი და 50 წუთი განმავლობაში იყვნენ წარმოდგენილნი.

აღსანიშნავია, რომ ჟურნალისტები მნიშვნელოვან დროს სუბიექტების პირდაპირი საუბრის გაშუქებას უთმობდნენ. მაგალითად, პრეზიდენტს გაშუქების საერთო დროის (16 წთ.) 77% პირდაპირ საუბარზე მოდიოდა. ცალკეულ შემთხვევებში სუბიექტების მიმართ გამოვლენილი დადებითი ან უარყოფითი ტონის შედარებით მაღალი მაჩვენებლები წყაროთა კომენტარების ტონმა განაპირობა და არ გულისხმობს ჟურნალისტების მიერ ფაქტების ტენდენციურ გაშუქებას.

პრეზიდენტობის კანდიდატებიდან ყველაზე მეტი დრო, 7 წუთი, ნინო ბურჯანაძეს („დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოსთვის“) დაეთმო. გაშუქების 5 წუთი ჰქონდა დავით ბაქრაძეს („ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“), 2 წუთი - გიორგი მარგველაშვილს (კოალიცია „ქართული ოცნება“). წუთზე ნაკლები დრო დაეთმოთ შალვა ნათელაშვილს ("ლეიბორისტული პარტია“) და გიორგი თარგამაძეს („ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“). კანდიდატებს შორის დროის ასეთი გადანაწილება მათ მიერ რეგიონში განხორციელებულ აქტივობებს უკავშირდებოდა.

საანგარიშო კვირაში ახალი ამბების გამოშვებებში ჟურნალისტები პოლიტიკური თემების პარალელურად სოციალური თემატიკითაც ინტერესდებოდნენ.

საინფორმაციო გამოშვებებში მოვლენები მშრალად, ანალიზის გარეშე შუქდებოდა, თუმცა მოიცავდა დაინტერესებულ მხარეთა კომენტარებს და მთლიანობაში დაბალანსებული, მიუკერძოებელი იყო.



ქვემო ქართლის ტელე-რადიო კომპანია (ქ. რუსთავი) - ტელეკომპანიამ საანგარიშო პერიოდში მონიტორინგის სუბიექტებს ჯამში საათი და 15 წუთი დაუთმო. მთავარი საინფორმაციო გამოშვების ჟურნალისტების მიერ მომზადებული სიუჟეტები, ძირითადად, ადგილობრივ ამბებს შეეხებოდა. საინფორმაციო გამოშვების მეორე ნაწილში ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებიც შუქდებოდა.

არხმა მონიტორინგის სუბიექტებიდან ყველაზე დიდი დრო ადგილობრივ ხელისუფლებას დაუთმო (35 წთ); 20 წუთით კოალიცია "ქართული ოცნება" გააშუქა, 7 წუთით კი მთავრობა.

საინფორმაციო გამოშვებებში ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობის გაშუქებას საკმაოდ დიდი დრო ეთმობოდა. მათი აქტივობების შესახებ მომზადებული სიუჟეტები „ქრონიკაში“ ზოგჯერ პირველ, ძირითადად კი მეორე-მესამე სიუჟეტად გვხვდებოდა. ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობის გაშუქებისას პირდაპირი საუბარი სჭარბობდა. საანგარიშო კვირის საინფორმაციო გამოშვებებში ასევე გაშუქდა პრეზიდენტობის კანდიდატების: ნინო ბურჯანაძის ("დემოკრატიულო მოძრაობა - ერთიანი საქართველოსთვის"), დავით ბაქრაძის ("ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"), გიორგი მარგველაშვილის (კოალიცია "ქართული ოცნება"), კობა დავითაშვილის ("ხალხის პარტია") და გიორგი თარგამაძის ("ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა") რეგიონში გამართული წინასაარჩევნო შეხვედრები.

15 ოქტომბრის საინფორმაციო გამოშვების მეორე ნაწილში გავიდა ვრცელი ინტერვიუ რუსთავის მაჟორიტარ დეპუტატ ზვიად ძიძიგურთან. კოალიცია "ქართული ოცნებისთვის“ დათვლილი დროის ზრდა სწორედ ამ ინტერვიუს ხარჯზე მოხდა. შესაბამისად, კოალიციის შემთხვევაშიც ირიბს პირდაპირი (79%) გაშუქება სჭარბობდა.

19 და 20 ოქტომბერს რუსთავქალაქობასთან დაკავშირებით „ქვემო ქართლის ტელე-რადიო კომპანია“ განსაკუთრებულ რეჟიმში მუშაობდა: საღამოს ეთერში არხზე ორი საინფორმაციო გამოშვება გადიოდა. რუსთავქალაქობისთვის დაგეგმილ ღონისძიებებზე სასაუბროდ 18 ოქტომბრის გადაცემის მეორე ნაწილში წამყვანს სტუდიაში ორი სტუმარი ჰყავდა: რუსთავქალაქობის ღონისძიებების რეჟისორი გეგა ქურციკიძე და რუსთავის მერის მოადგილე ნინო ლომიძე. პირდაპირი გაშუქებით (63%) ადგილობრივი ხელისუფლებისთვის დათვლილი დროის ზრდა ამ გადაცემის ხარჯზეც მოხდა.

არხზე 7 წუთის განმავლობაში მთავრობა, მეტწილად, ირიბად შუქდებოდა, თუმცა ასევე მაღალი იყო პირდაპირი გაშუქებაც: დღესასწაულზე რუსთავში რამდენიმე მინისტრი იმყოფებოდა.

საანგარიშო პერიოდში საინფორმაციო გამოშვების ჟურნალისტების მიერ მომზადებული სიუჟეტები, ძირითადად, დღის განმავლობაში მიმდინარე მოვლენებს შეეხებოდა. ისინი ახალ ამბებს სუბიექტური შეფასების გარეშე გადმოსცემდნენ.



"ოდიში" (ქ. ზუგდიდი) - მონიტორინგის მესამე, ერთკვირიან პერიოდში ტელეკომპანია „ოდიშის“ ეთერში მთავარი საინფორმაციო გამოშვება „დრო“ სამშაბათს, ოთხშაბათს,

ხუთშაბათს და შაბათს გავიდა. ტელეკომპანიამ მონიტორინგის სუბიექტებს ჯამში 30 წუთი დაუთმო.

საანგარიშო პერიოდის საინფორმაციო გამოშვებებში მონიტორინგის სუბიექტებიდან მხოლოდ პრეზიდენტი, "დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველოსთვის" პრეზიდენტობის კანდიდატი ნინო ბურჯანაძე და პარლამენტის წევრი ზაქარია ქუცნაშვილი (კოალიცია "ქართული ოცნება") გაშუქდნენ. სიუჟეტები შეეხებოდა: პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ზუგდიდში სტუმრობას, ზაქარია ქუცნაშვილს შეხვედრებს ზუგდიდში და ნინო ბურჯანაძის წინასაარჩევნო შეხვედრებს სამეგრელოში. ასევე მომზადდა სიუჟეტი პრეზიდენტობის კანდიდატის თბილისში გამართული საარჩევნო პროგრამის პრეზენტაციის შესახებ.

მონიტორინგის სუბიექტებისთვის დათმობილი საერთო დროიდან 5-5 წუთი პრეზიდენტის და პრემიერ-მინისტრის გაშუქებაზე მოდიოდა. ამ დროის 48% პრეზიდენტს პირდაპირი საუბრისთვის დაეთმო, ხოლო პრემიერი მხოლოდ ირიბად გაშუქდა.

ტელეკომპანია „ოდიშის“ საღამოს ეთერში „ინფოლენტის“ საშუალებით დრო მონიტორინგის სხვა სუბიექტებსაც დაეთმოთ. „ინფოლენტში“ არხი პოლიტიკოსების და საზოგადო მოღვაწეების მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს დაახლოებით 15 წამის განმავლობაში, ძირითადად, ტექსტის სახით აჩვენებდა. ციტატასთან ერთად უმეტეს შემთხვევაში ეკრანზე მისი ავტორის ფოტოც იყო გამოსახული.

არხის საინფორმაციო გამოშვებებში პოლიტიკური თემების გარდა სიუჟეტები რეგიონში გამართული საზოგადოებრივი და კულტურული ღონისძიებების შესახებაც მზადდებოდა.

ჟურნალისტები მოვლენებს მიუკერძოებლად აშუქებდნენ, სუბიექტების მიმართ, უმეტესწილად, ნეიტრალურ ტონში საუბარი და ირიბად გაშუქება დაფიქსირდა.



"მე-9 არხი" (ქ. ახალციხე) - საანგარიშო კვირაში მონიტორინგის სუბიექტებს არხის ეთერში ჯამში 44 წუთი დაეთმოთ. საინფორმაციო გამოშვებებში გაშუქდა როგორც კვალიფიციური, ასევე არაკვალიფიციური საარჩევნო სუბიექტები. 50 წამზე მეტი დროით არხის ეთერში 12 სუბიექტი მოხვდა, რაც გაშუქების მრავალფეროვნებაზე მიუთითებს.

აღსანიშნავია, რომ კვლევის წინა პერიოდებისგან განსხვავებით შეიცვალა ყველაზე მეტი დროით გაშუქებული სუბიექტების სამეული. თუკი მანამდე ყველაზე ხშირად მთავრობა და ადგილობრივი ხელისუფლება შუქდებოდა, ამჯერად ყველაზე დიდი დრო კოალიცია „ქართული ოცნებისა“ (9 წთ.) და მისი საპრეზიდენტო კანდიდატის, გიორგი მარგველაშვილის (8 წთ.), აგრეთვე ნინო ბურჯანაძის (6 წთ.) გაშუქებას დაეთმო. წუთზე მეტი დროით გაშუქდნენ საპრეზიდენტო კანდიდატები: გიორგი თარგამაძე ("ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა") და სერგო ჯავახიძე ("სამართლიანი საქართველოსთვის"). მონიტორინგის სუბიექტების გაშუქებისას ირიბი საუბარი სჭარბობდა პირდაპირს. ჟურნალისტები მოკლედ ჰყვებოდნენ სხვადასხვა აქტივობების შესახებ და ნაკლებ დროს უთმობდნენ თავად სუბიექტების პირდაპირ საუბარს.

პრეზიდენტობის კანდიდატების გაშუქებისას ნეიტრალური ტონი სჭარბობდა, თუმცა 17 ოქტომბრის "ექოში" მოხვდა სიუჟეტი, სადაც საუბარი იყო კოალიცა „ქართულ ოცნებასა“ და „დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოსთვის„ აქტივისტებს შორის მომხდარ დაპირისპირებაზე. შედეგად, მათ მიმართ ნეგატიური ტონი დაფიქსირდა.

საინფორმაციო გამოშვებებში, ძირითადად, დაცული იყო ბალანსი და მიუკერძოებლობა. საარჩევნო შეხვედრების მიმდინარეობის გაშუქებისას ჟურნალისტები ცდილობდნენ

შესაძლო დარღვევებიც გამოევლინათ. მაგალითად, 15 ოქტომბრის გამოშვების სიუჟეტში, რომელიც კოალიცია „ქართული ოცნების“ კანდიდატის, გიორგი მარგველაშვილის მოსახლეობასთან შეხვედრას აშუქებდა, საუბარი იყო სასწავლო პროცესის დროს სკოლის მოსწავლეების საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობის შესახებ. ჟურნალისტმა განაცხადა, რომ ამ საკითხზე მან კითხვით მიმართა გიორგი მარგველაშვილის პრეს-სამსახურს, რაზეც მარგველაშილის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მსგავსი ფაქტი შეხვედრაზე არ დაფიქსირებულა. ჟურნალისტები ცდილობდნენ ყველა მხარის პოზიციის წარმოჩენას. საპრეზიდენტო კანდიდატების შესახებ მომზადებული სიუჟეტები, როგორც წესი 5-6 სიუჟეტად, ერთმანეთის მიყოლებით გადაიცემოდა ეთერში.



"თანამგზავი" (ქ. თელავი) - საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანია „თანამგზავრზე“ საინფორმაციო გამოშვება ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით გადიოდა. „ახალი ამბების“ პირველ ნაწილში ეთერი, ძირითადად, კახეთის რეგიონში მიმდინარე პროცესებზე მომზადებულ სიუჟეტებს ეთმობოდა, მეორე ნაწილში კი ქვეყანაში მიმდინარე მოვლენები ე.წ. „კადრ-სინქრონის“ სახით საკმაოდ ვრცლად შუქდებოდა. 20-30 წუთიან საინფორმაციო გამოშვებებში კახეთის რეგიონსა და ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების გადმოსაცემად დრო თითქმის თანაბრად იყო განაწილებული.

საანგარიშო პერიოდში მონიტორინგის სუბიექტებს ჯამში 1 საათი და 50 წუთი დაეთმოთ. ყველაზე დიდი დროით არხმა მთავრობა გააშუქა (25 წთ.). 18 წუთი დაეთმო პრემიერ-

მინისტრს, 11 წუთი - „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“. მთავრობის 25 წუთიანი გაშუქებიდან 65% პირდაპირ გაშუქებაზე მოდიოდა, ასევე იყო პრემიერ-მინისტრის შემთხვევაშიც (73%). სხვა სუბიექტების გაშუქებისას ეს მაჩვენებლები თითქმის თანაბარი იყო.

საანგარიშო კვირის საინფორმაციო გამოშვებებში პრეზიდენტობის კანდიდატების წინასაარჩევნო შეხვედრებზე მომზადებული სიუჟეტები არ გასულა. ჟურნალისტები, ძირითადად, პრეზიდენტობის კანდიდატების საარჩევნო პროგრამების, რთველის 2013-ის დასრულების და სხვადასხვა საარჩევნო საკითხების ირგვლივ ამზადებდნენ სიუჟეტებს. ასევე შუქდებოდა სოციალურ თემები, ადგილობრივი კულტურულ თუ სხვა ღონისძიებები. სიუჟეტებში ბალანსი, უმეტესწილად, დაცული იყო. ჟურნალისტები ახალ ამბებს მიუკერძოებლად გადმოსცემდნენ.



"თრიალეთი" (ქ. გორი) - საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანიის ეთერში 15-25 წუთიანი საინფორმაციო გამოშვებები ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, წამყვანის გარეშე გადაიცემოდა. შაბათის საინფორმაციო გამოშვებაში კი კვირის მნიშვნელოვანი სიუჟეტები მეორდებოდა. გადაცემას ორი წამყვანი და სტუმარი ჰყავდა.

გასული კვირის მანძილზე ტელეკომპანიამ მონიტორინგის სუბიექტებს ჯამში 34 წუთი დაუთმო. ამ დროის 31% ადგილობრივი ხელისუფლების გაშუქებაზე მოდიოდა, 15% - ნინო ბურჯანაძის ("დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოსთვის"), 11% - გიორგი

მარგველაშვილის (კოალიცია "ქართული ოცნება"). დროის ეს მაჩვენებლები კოალიციის პრეზიდნტობის კანდიდატის და პრემიერის გორში ვიზიტმა განაპირობა, ხოლო ნინო ბურჯანაძის შემთხვევაში გაშუქდა მისი საარჩევნო პროგრამის პრეზენტაცია.

სხვა საპრეზიდენტო კანდიდატებიდან წუთზე ნაკლები დრო დაეთმოთ კობა დავითაშვილს ("ხალხის პარტია") და გიორგი თარგამაძეს ("ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა").

მონიტორინგის სუბიექტები სამივე ტონში შუქდებოდნენ. მხოლოდ ნინო ბურჯანაძის მიმართ დაფიქსირდა ნეიტრალური და დადებითი ტონები. აღსანიშნავია, რომ სუბიექტები, უმეტესწილად, პირდაპირი საუბრით შუქდებოდნენ.

წინა საანგარიშო პერიოდებისგან განსხვავებით, ჟურნალისტები უფრო მეტ კრიტიკულ კითხვებს სვამდნენ. თუმცა საკუთარ პოზიციებს არ აფიქსირებდნენ და ახალ ამბებს დროულად და მიუკერძოებლად გადმოსცემდნენ.



"გურია" (ქ. ოზურგეთი) - საანგარიშო კვირაში ტელეკომპანია 10-15 წუთიან საინფორმაციო გამოშვებებს ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით გადასცემდა. არხმა მონიტორინგის სუბიექტებს სულ 10 წუთი დაუთმო. ამ დროის 31% პარლამენტის თავმჯდომარის გაშუქებაზე მოდიოდა, 15% - მთავრობის, 14% - ცენტრალური საარჩევნო კომისიის. "დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოსთვის" პრეზიდენტობის კანდიდატ ნინო ბურჯანაძეს წუთზე ოდნავ მეტი დრო დაეთმო. წუთზე ნაკლები დროით გაშუქდნენ პრეზიდენტობის კანდიდატები: დავით ბაქრაძე ("ერთიანი ნაციონალური მოძრაობა") და გიორგი თარგამაძე ("ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა"). სუბიექტების გაშუქებისას პირდაპირი საუბარი ბევრად სჭარბობდა ირიბს.

ტელეკომპანია რეგიონში მიმდინარე პროცესების გარდა რეგიონსგარეთ მიმდინარე მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოვლენებსაც აშუქებდა.



"იმერვიზია" (ქ. ჭიათურა) - ტელეკომპანიის საინფორმაციო გამოშვება ყოველდღიურად საღამოს ეთერში ორჯერ გადიოდა: 19:00 საათზე და განმეორებით 21:20 საათზე.

საანგარიშო კვირაში არხზე გამორჩეულად მაღალი დრო (22 წთ.) კოალიცია „ქართული ოცნების“ გაშუქებას დაეთმო, რამაც საერთო დროის 44% შეადგინა. ეს მაჩვენებელი, 14 ოქტომბრის გამოშვებაში, ჭიათურის მაჟორიტარი დეპუტატის, მალხაზ წერეთლის რაიონში ჩასვლის და მისი საქმიანობის შემაჯამებელი ანგარიშის პრეზენტაციის გაშუქებამ განაპირობა. ჭიათურას კოალიციის კიდევ ერთი წევრი, მანანა კობახიძე სტუმრობდა. მან მოსახლეობასთან შეხვედრა გამართა, სადაც მოქალაქეებს კოალიციის საპრეზიდენტო კანდიდატის, გიორგი მარგველაშვილის მხარდაჭერისკენ მოუწოდა.

პრეზიდენტობის კანდიდატებიდან საინფორმაციო გამოშვებაში დაახლოებით 4-4 წუთი ნინო ბურჯანაძესა („დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოსთვის“) და გიორგი მარგველაშვილს (კოალიცია „ქართული ოცნება“) დაეთმოთ. ნინო ბურჯანაძე პირდაპირი გაშუქების მაღალი მაჩვენებლით (52%), ხოლო გიორგი მარგველაშვილი დადებითად გაშუქების მაღალი ტონით (62%) გამოირჩეოდა.

საინფორმაციო გამოშვებების ჟურნალისტები მოვლენებს, ძირითადად, ნეიტრალურად, კრიტიკისა და დამატებითი კითხვების დასმის გარეშე, ფაქტების მშრალი გადმოცემით აშუქებდნენ. რესპონდენტებს მაქსიმალურად ეძლეოდათ საკუთარი აზრისა და პოზიციების დაფიქსირების საშუალება.



"გურჯაანი" (ქ. გურჯაანი) - საანგარიშო პერიოდში "გურჯაანის" ეთერში 20-30 წუთიანი საინფორმაციო გამოშვებები ყოველდღე გადიოდა. ვრცლად შუქდებოდა როგორც ადგილობრივი ახალი ამბები, ასევე რეგიონსგარეთ განვითარებული მოვლენები.

მონიტორინგის სუბიექტებს მთლიანობაში, ერთი კვირის განმავლობაში 17 წუთი დაეთმოთ. აქედან, 33% მთავრობის გაშუქებაზე მოდიოდა, 30% - ადგილობრივი ხელისუფლების. წუთზე ნაკლები დრო დაეთმოთ პრეზიდენტობის კანდიდატებს: დავით ბაქრაძეს ("ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"), გიორგი თარგამაძეს ("ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა"), გიორგი მარგველაშვილს ("კოალიცია "ქართული ოცნება") და ნინო ბურჯანაძეს ("დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოსთვის").

სამი ყველაზე მეტად გაშუქებული სუბიექტის შემთხვევაში პირდაპირი საუბარი ბევრად მეტი იყო ირიბზე: მთავრობა - 76%, ადგილობრივი ხელისუფლება - 93%, პრეზიდენტი - 87%. ჟურნალისტები მოვლენებს ობიექტურად და ყოველგვარი შეფასებების გარეშე აშუქებდნენ. სიუჟეტები დაბალანსებული და ვრცელი იყო.



"მეგა ტვ" (ქ. ხონი) - მესამე საანგარიშო პერიოდში არხის ეთერში მონიტორინგის სუბიექტებს 17 წუთი დაეთმოთ. საინფორმაციო გამოშვებებში ყველაზე მეტი დრო პრეზიდენტისა (4 წთ.) და ადგილობრივ ხელისუფლების (2 წთ.) გაშუქებაზე მოდიოდა. პრეზიდენტობის კანდიდატებიდან ახალ ამბებში გაშუქდნენ, როგორც კვალიფიციური ასევე არაკვალიფიციური სუბიექტები. წუთზე მეტი დრო არხმა გიორგი მარგველაშვილს (კოალიცია "ქართული ოცნება") და ნუგზარ ავალიანს (საინიციატივო ჯგუფი) დაუთმო. ძირითადად, საპრეზიდენტო კანდიდატთა რეგიონებში შეხვედრების ამსახველი რეპორტაჟები მზადდებოდა. საპრეზიდენტო კანდიდატების გაშუქების ტონი უმეტესწილად ნეიტრალური იყო.

მონიტორინგის სუბიექტების გაშუქებისას პირდაპირი/ირიბი საუბრის მაჩვენებლები თითქმის თანაბარი იყო.

ბალანსის თვალსაზრისით საინტერესო იყო 15 ოქტომბრის გადაცემის სიუჟეტი, რომელიც რელიგიურ დღესასწაულზე პრეზიდენტის იმერეთში ვიზიტს შეეხებოდა. 4 წუთიან სიუჟეტში მხოლოდ მოსახლეობის პოზიტიური კომენტრები გაშუქდა.

14 ოქტომბრის საინფორმაციო გამოშვებაში გასულ სიუჟეტში, რომელიც პრეზიდენტობის კანდიდატ ნინო ბურჯანაძის ("დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოსთვის") მარტვილის საარჩევნო შტაბის აქტივობას შეეხებოდა, მოცემული ყველა კომენტარი სიუჟეტის თემას არ შეეხებოდა და შესაძლოა, მაყურებელს ბოლომდე ვერ გაეგო რაზე იყო საუბარი.

საინფორმაციო გამოშვებებში თითქმის თანაბრად შუქდებოდა სოციალური და საარჩევნო საკითხები.



"მე-9 ტალღა" (ქ. ფოთი) - საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანიის საღამოს ეთერში მონიტორინგის სუბიექტებს მინიმალური დრო, 14 წუთი, დაეთმოთ. ამ დროის 25% ცენტრალური საარჩევნო კომისიის აქტივობების გაშუქებას დაეთმო. გაშუქების 77% ირიბ საუბარზე მოდიოდა, 84% კი - ნეიტრალურ ტონზე.

საპრეზიდენტო კანდიდატებიდან ერთი კვირის განმავლობაში დრო მხოლოდ ნინო ბურჯანაძეს დაეთმო ("დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოსთვის"). იგი, ძირითადად, ნეიტრალურ (69%) და პოზიტიურ (31%) ტონებში გაშუქდა. ხოლო დათმობილი დროის 82% ირიბ საუბარზე მოდიოდა.

არხის ახალი ამბების გამოშვებები საარჩევნო თემატიკის გაშუქების მრავალფეროვნებით არ გამოირჩეოდა. გამონაკლისი იყო 18 ოქტომბერს გადაცემაში გასული მოქალაქეთა გამოკითხვა, რომელიც ფოთში საპრეზიდენტო კანდიდატების ცნობადობის განსაზღვრას ითვალისწინებდა.

ახალი ამბების გამოშვებებში ჟურნალისტები, ძირითადად, რეგიონში განვითარებულ მოვლენებს მიმოიხილავდნენ. დროს უთმობდნენ სოციალურ თემებს და მოსახლეობის პრობლემების გაშუქებას. ისინი ახალი ამბების მოკლე გადმოცემითა და პოლიტიკური სუბიექტების კომენტარების გაშუქებით შემოიფარგლებოდნენ. ნაკლებად ამზადებდნდენ ანალიტიკურ, სიღრმისეულ სიუჟეტებს.



საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების და თოქ-შოუების მონიტორინგი

ამ ტიპის გადაცემების მონიტორინგი მოიცავს მხოლოდ თვისებრივ კომპონენტს. მონიტორინგის დროს დაკვირვება მხოლოდ ჟურნალისტებზე ხდება. მათი ქცევა სხვადასხვა კრიტერიუმის მიხედვით ფასდება: გადაცემაში მათი როლი და ჩართულობა, როგორ წარმართავენ პროცესს, უბრალოდ მოდერატორები არიან, თუ ცდილობენ საკუთარი პოზიციის დაფიქსირებას, რამდენად თანაბარ პირობებში აყენებენ სტუმრებს, რამდენად თანაბრად მომთხოვნია ჟურნალისტი ყველა სტუმრის მიმართ და ცდილობს მათგან სიღრმისეული ინფორმაციის მიღებას, რამდენად აცდიან სტუმრებს აზრის გამოთქმას, როდის აწყვეტინებენ საუბარს. მონიტორინგი ასევე აკვირდება ჟურნალისტების მხრიდან შეურაცხმყოფელი ან დამამცირებელი ფრაზებისა და განცხადებების გამოყენებას და მათ რეაგირებას სტუმრების მიერ სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევებზე.

მონიტორინგის შედეგები არხების მიხედვით:

"25-ე არხი" (ქ. ბათუმი) - საანგარიშო პერიოდში არხის ეთერში ჟურნალისტ ჯაბა ანანიძეს, სამუშაო დღეებში თოქ-შოუები: **„დიალოგი“** და **„უპასუხეთ ხალხს“** მიჰყავდა.

თოქ-შოუ „დიალოგის“ თემები მრავალფეროვანი იყო:

- მანდატურები ქურდული სამყაროს წინააღმდეგ;

- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები და არჩევნები;
- შრომითი უფლებები;
- ტურიზმის 4 სეზონი;
- ნინო ბურჯანაძის საარჩევნო კამპანია;
- ბათუმის თვითმმართველობის პროექტები;
- უსაფრთხო გარემო

გასული ხუთი გადაცემიდან საარჩევნო სუბიექტების შესახებ საუბარი 14 და 17 ოქტომბრის თოქ-შოუებში იყო. გადაცემები საპრეზიდენტო კანდიდატთა გაშუქების მრავალფეროვნებით არ გამოირჩეოდა.

14 ოქტომბრის თოქ-შოუში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საარჩევნო პროცესებში ჩართვასა და გარემოს შესაბამისად ადაპტირების შესახებ იყო საუბარი. მონიტორინგის სუბიექტებიდან გადაცემაში ისაუბრეს: საქართველოს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობაზე, ცენტრალური საარჩევნო კომისიაზე. სუბიექტების მისამართით ძირითადად ნეიტრალური ტონი ფიქსირდებოდა.

17 ოქტომბრის თოქ-შოუს პირველ ნაწილში პრეზიდენტობის კანდიდატი ნინო ბურჯანაძე ("დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოსთვის") იყო მიწვეული. გადაცემის დასაწყისში წამყვანმა პრემიერ ბიძინა ივანიშვილის განცხადების პერიფრაზი არაზუსტად გააკეთა, რის გამოც სტუმარმა ჟურნალისტს კითხვის დაზუსტება სთხოვა. წამყვანი კარგად იყო ინფორმირებული პრეზიდენტობის კანდიდატის საარჩევნო პროგრამის შესახებ. შეკითხვებს პროგრამულ პრიორიტეტებზე სვამდა და ცდილობდა გაერკვია სტუმრის დამოკიდებულება სხვა საპრეზიდენტო კანდიდატების მიმართ.

ნინო ბურჯანაძის მხრიდან გადაცემაში აშკარა ნეგატიური ტონი შეიმჩნეოდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ და მათი პრეზიდენტობის კანდიდატ დავით ბაქრაძის მისამართით. მწვავე იყო ნინო ბურჯანაძის ტონი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ 9 წლიანი მმართველობის შეფასებისას. მონიტორინგის სუბიექტებიდან აღნიშნულ გადაცემაში ისაუბრეს კოალიცია „ქართული ოცნებასა“ და მის პრეზიდენტობის კანდიდატ გიორგი მარგველაშვილზე, პრემიერ-მინისტრსა და მთავრობაზე. მათი მისამართით გადაცემაში, ძირითადად, ნეიტრალური ან უარყოფითი ტონი შეიმჩნეოდა.

გადაცემის წამყვანი კრიტიკულ შეკითხვებს სვამდა და სტუმარს საშუალებას აძლევდა თავისუფლად გამოეთქვა მოსაზრება. თუმცა გადაცემის შუა ნაწილში რესპონდენტის გაღიზიანება გამოიწვია შეკითხვებმა, რომელიც პარლამენტის თავმჯდომარეობის პერიოდში მისთვის გადაცემულ უძრავ ქონებას და ანტიმონოპოლიური სამსახურის გაუქმებას შეეხებოდა. სტუმარი ცდილობდა შეკითხვებზე პასუხისაგან თავი აერიდებინა,

თუმცა ჟურნალისტმა რამდენჯერმე გაუმეორა შეკითხვა. „დიალოგის“ დასასრულს სტუმარმა უკმაყოფილება გამოთქვა, რომ გადაცემაში მთელ რიგ თემებზე მისი მოსაზრების დაფიქსირება ვერ შეძლო.

გადაცემა ინტერაქციული იყო: მოქალაქეები სატელეფონო ჩართვების საშუალებით შეკითხვებით მიმართავდნენ პრეზიდენტობის კანდიდატს. მაყურებელთა ნაწილი ჩართვებში საკუთარ მხარდაჭერას უდასტურებდა ნინო ბურჯანაძეს.

"რიონი" (ქ. ქუთაისი) - მონიტორინგის ქვეშ ტელეკომპანიის ორ თოქ-შოუ - „თემა“ და „დიალოგი“ მოხვდა, რომლებსაც მონაცვლეობით ნანა რობაქიძე და ხატია ბაბუნაშვილი უძღვებოდნენ.

თოქ-შოუ „დიალოგის“ ხანგრძლივობა 60 წუთს შეადგენს და იგი ყოველ ორშაბათს, 21:10 საათზე გადის ეთერში. საანგარიშო კვირაში გადაცემის მთავარი თემა ორი ახალი პროექტის განხორციელებას უკავშირდებოდა: მოქალაქეების ინფორმირებულობა ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ და ქუთაისის წყალმომარაგების პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა.

თოქ-შოუში მიწვეულები იყვნენ პროექტების ავტორები, რომლებიც წამყვანთან ერთად საკითხის ირგვლივ არსებულ პრობლემებსა და მათი გადაჭრის გზების შესაძლებლობებს განიხილავდნენ.

გადაცემის წამყვანი სტუმრებთან დიალოგის დროს თემასთან დაკავშირებით საკუთარ შეფასებებსაც აკეთებდა, თუმცა მიკერძოებული არ ყოფილა, ცდილობდა ფაქტი გაეანალიზებინა. მისი შეკითხვების დახმარებით, წარმოდგენილი პროექტების მიზნების და მათ ირგვლივ არსებული პრობლემების შესახებ, მაყურებელმა ამომწურავი ინფორმაცია მიიღო.

ზოგჯერ სტუმრები ადგილობრივი თვითმმართველობისა და ცენტრალური მთავრობის, აგრეთვე ყოფილი ხელისუფლების მიმართ ნეგატიურ ტონში საუბრობდნენ, თუმცა მონიტორინგის სუბიექტების მიმართ არაკორექტული ფრაზების გამოყენების ფაქტები არ დაფიქსირებულა.

საანგარიშო პერიოდში მონიტორინგი არხის კიდევ ერთი **თოქ-შოუ „თემას“** შეეხო. კვირის მანძილზე ეთერში ორი გამოშვება გავიდა, რომლის თემებიც იყო:

- სამოქალაქო საზოგადეობის როლი და ჩართულობა პოლიტიკურ პროცესებში;
- პარლამენტის შენობის გადატანის საკითხი;

პირველ გადაცემაში მიწვეული სამი სტუმარი სამოქალაქო სექტორს წარმოადგენდნენ და ზოგადად სუბრობდნენ სამოქალაქო საზოგადოების აქტიურობასა და პოლიტიკურ პროცესებში მათ ჩართულობაზე. გადაცემის პირველი ნაწილში სტუმრები აქტიურად განიხილავდნენ ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემაში 2013 წელს განხორციელებულ საკადრო ცვლილებებსაც. წამყვანი თამამად სვამდა შეკითხვებს, რომელიც მის პოზიციას აფიქსირებდა, თუმცა რომელიმე პოლიტიკური სუბიექტის მიმართ მიკერძოებულობას არ ავლენდა და თანაბრად კრიტიკული იყო მოვლენების შეფასების დროს. გადაცემის მეორე ნაწილში ისაუბრეს, თუ როგორ, რაზე დაყრდნობით ირჩევენ მოქალაქეები საპრეზიდენტო კანდიდატებს, იცნობენ თუ არა მათ საარჩევნო პროგრამებს. თოქ-შოუში მაყურებელს (სატელეფონო ჩართვებით) საკუთარი მოსაზრების დაფიქსირების და სტუმრებისთვის კითხვის დასმის საშუალებაც მიეცათ.

18 ოქტომბრის გადაცემის სტუმარი პარლამენტის წევრი „ერთიანი ნაციონალური მოძრობიდან“ აკაკი ბობოხიძე იყო. საუბრის თემა, ძირითადად, პარლამენტის შენობის ქუთაისიდან თბილისში გადატანის საკითხს შეეხებოდა.

აკაკი ბობოხიძე ნეგატიურ ტონში საუბრობდა კოალიცია „ქართულ ოცნებასა“ და მთავრობაზე. იგი აქცენტს „ერთიანი ნაციონლური მოძრაობის“ მიერ განხორციელებულ პოზიტიურ აქტივობებზე აკეთებდა. სტუმარს, გადაცემის თემასთან დაკავშირებით, საკუთარი პოზიციისა და მოსაზრების დაფიქსირების საშუალება მაქსიმალურად მიეცა. თოქ-შოუს მეორე ნაწილში ტელემაყურებელს შესაძლებლობა ჰქონდა პარლამენტის წევრისთვის პირდაპირ ეთერში შეკითხვები დაესვა. წამყვანი კორექტული და მიუკერძოებელი იყო, ამავდროულად იგი კრიტიკულ და ამომწურავ შეკითხვებს უსვამდა სტუმარს.

ამერიკის შეერთებული შტატების განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) და "ინტერნიუსი-საქართველოს" პროექტის, „პარლამენტის კომუნიკაციების ცენტრი“ ფარგლებში მომზადებული **გადაცემა "თქვენი პარლამენტი"** ტელეკომპანია „რიონის“ ეთერში 20 ოქტომბერს გავიდა.

გადაცემა საქველმოქმედო საქმიანობის შესახებ ინიცირებულ ახალ კანონ-პროექტს შეეხებოდა. თოქ-შოუში ტყიბულის მაჟორიტარი დეპუტატი კოალიცია "ქართული ოცნებიდან", ელისო ჩაფიძე იყო მიწვეული. წამყვანის განმარტებით, საპარლამენტო უმცირესობის ("ერთიანი ნაციონალური მოძრაობა") წარმომადგენლებმა გადაცემაში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს. სტუმარმა ტელეკომპანია „მეგა ტვ“-ის ჟურნალისტების შეკითხვებს უპასუხა და ძირითადად, კანონ-პროექტის პოზიტიურ მხარეებზე ისაუბრა.

გადაცემა კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა. მწვავე და კრიტიკული შეკითხვები არ დასმულა.

ქვემო ქართლის ტელე-რადიო კომპანია (ქ. რუსთავი) - თოქ-შოუ **„თქვენი დრო“** ტელეკომპანიის პირდაპირ ეთერში ყოველ სამშაბათს და პარასკევს გადის. წამყვანს ერთსაათიან თოქ-შოუში ერთი სტუმარი ჰყავს მიწვეული. საანგარიშო კვირაში ეთერში 2 გადაცემა გავიდა. ორივე თოქ-შოუ განსხვავებული ფორმატის იყო.

15 ოქტომბერს პირდაპირ ეთერში ორსაათიანი „თქვენი დრო“ გავიდა, რომელიც ორი ნაწილისგან შედგებოდა. პირველ ნაწილში ჟურნალისტს სტუდიაში მიწვეული ჰყავდა პრეზიდენტობის კანდიდატი სერგო ჯავახიძე („სამართლიანი საქართველოსთვის“). მეორე ნაწილში კი პრეზიდენტობის კანდიდატი შალვა ნათელაშვილი („ლეიბორისტული პარტია“).

18 ოქტომბერს „თქვენი დრო“ არა პირდაპირ ეთერში, არამედ ჩანაწერის სახით გავიდა. ჟურნალისტმა ამის მიზეზად მიწვეული სტუმრის, პრეზიდენტობის კანდიდატ გიორგი ლილუაშვილის (საინიციატივო ჯგუფი) მოუცლელობა დაასახელა. ორივე გადაცემის თემა კანდიდატების საპრეზიდენტო პროგრამები იყო.

გადაცემის თემებიდან გამომდინარე, ჟურნალისტის კითხვები, ძირითადად, საპრეზიდენტო პროგრამაში გაწერილ საკითხებს შეეხებოდა. წამყვანი ტატო გოგოლაძე ცდილობდა რესპონდენტებს პროგრამაში მოცემული ყველა საკითხის შესახებ ესაუბრათ. იგი, ძირითადად, მშრალ და ზოგად კითხვებს სვამდა, თუმცა ზოგ შემთხვევაში საკითხით უფრო დეტალურად ინტერესდებოდა და ცდილობდა რესპონდენტებისგან მეტი ინფორმაცია მიეღო. ჟურნალისტი კითხვებთან ერთად რეპლიკებსაც მოიშველიებდა, თუმცა საკუთარ პოზიციას არ გამოხატავდა. როდესაც სტუმარი მოქმედი, ან ყოფილი ხელისუფლების მიერ გადადგმულ ნაბიჯებს აკრიტიკებდა, ჟურნალისტი ინტერესდებოდა, მსგავს სიტუაციაში პრეზიდენტობის კანდიდატი როგორ მოიქცეოდა.

საანგარიშო პერიოდში არხის ეთერში გავიდა **გადაცემა „თქვენი პარლამენტის“** სამი გამოშვება, რომელიც მომზადებულია ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI), საქართველოს პარლამენტისა და „ინტერნიუსი-საქართველოს“ მიერ. სამივე გადაცემას ეთერი 15 ოქტომბერს დაეთმო. 6 წუთიანი გადაცემები ერთმანეთის მიყოლებით გავიდა. თემები კი იყო:

- ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონში შესული ცვლილებები;
- კანონ-პროექტი ქონებრივი დეკლარაციის წარმდგენ პირთა წრის გაფართოების შესახებ;

- კანონ-პროექტი სასოფლო-სამეურნეო მიწის სტატუსის შეცვლის შესახებ.

ჟურნალისტს სამივე გადაცემაში პარლამენტის თითო წევრი ჰყავდა მიწვეული. გადაცემის ფორმატიდან გამომდინარე წამყვანი სტუმრებს კონკრეტული რეგიონალური ტელევიზიის მიერ მიწოდებულ კითხვებს უსვამდა.

გორის მაჟორიტარმა დეპუტატმა, ფრაქცია „ქართული ოცნება-ეროვნული ფორუმის“ წევრმა მალხაზ ვახტანგაშვილმა ტელეკომპანია „თრიალეთის“ კითხვებს უპასუხა; ხარაგაულის მაჟორიტარ დეპუტატს, ფრაქცია „ქართული ოცნება-რესპუბლიკელების“ წევრ ნოდარ ებანოიძეს გადაცემის წამყვანმა ტელეკომპანია „არგოს“ (ქ. ზესტაფონი) მიერ მიწოდებული კითხვები დაუსვა; ხოლო თელავის მაჟორიტარმა დეპუტატმა, ფრაქცია „ქართული ოცნება - თავისუფალი დემოკრატების“ წევრმა გელა სამხარაულმა პასუხი ტელეკომპანია „გურჯაანის“ მიერ მომზადებულ კითხვებზე გასცა.

ჟურნალისტმა სამივე გადაცემაში აღნიშნა, რომ „თქვენი პარლამენტის“ სტუმარი ასევე უნდა ყოფილიყო საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენელი, თუმცა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა გადაცემაში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს.

"ოდიში" (ქ. ზუგდიდი) - საანგარიშო პერიოდში „ოდიშის“ ეთერში **გადაცემა „თქვენი პარლამენტი“** გავიდა, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) და "ინტერნიუსი-საქართველოს" პროექტის, „პარლამენტის კომუნიკაციების ცენტრი“ ფარგლებში მზადდება.

გადაცემის თემა იყო: სახელმწიფო პენსიის შესახებ კანონში შესატანი ცვლილებები.

წამყვანმა სტუმარს ლაგოდეხის მაჟორიტარ დეპუტატს, ფრაქცია „უპარტიო დამოუკიდებელი მაჟორიტარების“ წევრ გიორგი გოზალიშვილს ტელეკომპანია "ლტვ"-ს (ქ. ლაგოდეხი) მიერ მიწოდებული კითხვები დაუსვა.

მონიტორინგის პერიოდში „ოდიშის“ ეთერში ასევე გადაცემა **„დაიცავი ოჯახი ძალადობისგან“** გავიდა. გადაცემის თემაზე (დევნილთა განსახლება) სასაუბროდ ჟურნალისტ ლაშა ზარგინავას სტუდიაში მიწვეული ჰყავდა ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს აჭარის და სამეგრელო-ზემო სვანეთის ტერიტორიული ორგანოს უფროსი, ზუგდიდის იურიდიული საკონსულტაციო ცენტრის იურისტი და გაეროს ქალთა ორგანიზაციის პროგრამის მენეჯერი.

გადაცემაში საუბარი იყო სახელმწიფოს ვალდებულებებზე დევნილთა განსახლების კუთხით და როგორ მიმდინარეობს ეს პროცესი სამეგრელოში, რა პრობლემები არსებობს ამ მიმართულებით. ჟურნალისტი ინტერესდებოდა თუ რა დაბრკოლებებს აწყდებიან დევნილი

ქალები და ზოგადად დევნილები. გადაცემის წამყვანი თემის გარშემო კარგად იყო მომზადებული. მისი კითხვები დევნილთა პრობლემებსა და ამ პრობლემების მოგვარების გზებს შეეხებოდა.

მეცხრე არხი (ქ. ახალციხე) - საანგარიშო პერიოდში არხის ეთერში მხოლოდ ერთი თოქ-შოუ **"დიალოგი რუსუდან გვარამაძესთან ერთად"** გავიდა. გადაცემის პირველი ნაწილის სტუმარი მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის" საპრეზიდენტო კანდიდატი სერგო ჯავახიძე იყო. გადაცემის მეორე ნაწილიში კი ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების ფატების შესახებ საუბრობდნენ.

ჟურნალისტი კეთილგანწყობილი იყო რესპონდენტების მიმართ. გადაცემის სტუმარმა საკუთარი საარჩევნო პროგრამის გარდა კონკურენტების წინასაარჩევნო კამპანიაც შეაფასა და გიორგი მარგველაშვილის (კოალიცია "ქართული ოცნება"), დავით ბაქრაძისა ("ერთიანი ნაციონალური მოძრაობა") და ნინო ბურჯანაძის ("დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოსთვის") მისამართით უარყოფითი ტონი დააფიქსირა. ჟურნალისტი ცდილობდა კანდიდატის საარჩევნო პროგრამის შესახებ მაყურებელთათვის მეტი ინფორმაცია მიეწოდებინა.

თოქ-შოუს მეორე ნაწილში გადაცემის სტუმრები წინასაარჩევნოდ ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების ფატქების შესახებ საუბრობდნენ. გადაცემაში მონაწილეობდნენ ადგილობრივი ხელისუფლების, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა" და კოალიცია „ქართული ოცნების" წარმომადგენლები. თოქ-შოუს ამ ნაწილში შეიმჩნეოდა სტუმართა დისბალანსი. წარმოდგენილი იყო მხოლოდ ორი პოლიტიკური ძალა. დარბაზში კი კოალიცია „ქართული ოცნების" წარმომადგენლები სჭარბობდნენ. გადაცემის ჟურნალისტმა აღნიშნა, რომ „დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს" წარმომადგენლებმა გადაცემის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე უარი განაცხადეს მასში მონაწილეობაზე. თოქ-შოუში აქტიურად გაშუქდა კოალიციის საპრეზიდენტო კანდიდატის, გიორგი მარგველაშვილის საარჩევნო კამპანიაში მოსწავლეთა მონაწილეობის ფაქტი. ჟურნალისტმა ეთერში გაუშვა „დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოსთვის" მიერ მოწოდებული სატელეფონო ზარის ჩანაწერი, სადაც სასწავლო პროცესის დროს მოსწავლეთა საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობის შესახებ იყო საუბარი. ამ ფაქტს ადასტურებდა რამდენიმე მაყურებელიც, რომელმაც ეთერში დარეკა. კოალიცია „ქართული ოცნების" წარმომადგენელმა უარყო აღნიშნული ფაქტები. სტუმრებს საპირისპირო მოსაზრებების დაფიქსირების საშუალება დაუბრკოლებლად ეძლეოდათ.

"თანამგზავი" (ქ. თელავი) - საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანია „თანამგზავრის“ ეთერში **თოქ-შოუ „დიალოგის“** ერთი გამოშვება გავიდა.

18 ოქტომბერს ჟურნალისტ ნატო მეგუთნიშვილს გადაცემის პირველ ნაწილში პრეზიდენტობის კანდიდატი ლევან ჩაჩუა (საინიციატივო ჯგუფი) ჰყავდა მიწვეული. მეორე ნაწილში კი "ღვინის ეროვნული სააგენტოს რეგისტრაციისა და სერთიფიცირების სამმართველოს" წარმომადგენელი ბესარიონ სულაქველიძე, რომელმაც კახეთში რთველის მიმდინარეობაზე ისაუბრა.

ჟურნალისტი კითხვებს ისე სვამდა, რომ საკუთარ პოზიციას არ აფიქსირებდა. ის ნეიტრალური იყო. ნატო მეგუთნიშვილი ორივე სტუმართან დეტალურად ინტერესდებოდა საუბრის დროს წამოჭრილი თითოეული საკითხით. გადაცემის პირველ ნაწილში (სტუმარი ლევან ჩაჩუა) ჟურნალისტი ცდილობდა პრეზიდენტობის კანდიდატისთვის შეკითხვები ბევრი თემის გარშემო დაესვა, რაც მაყურებელს საშუალებას მისცემდა სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით სტუმრის ხედვები და პოზიციები გაეგო.

გადაცემის მეორე ნაწილში ეთერში ტელეგამოკითხვა გავიდა, სადაც კახელი გლეხები რთველის მიმდინარეობის დროს არსებულ პრობლემებზე საუბრობდნენ. ჟურნალისტი ცდილობდა, სტუმრისგან გლეხების მიერ წამოჭრილ საკითხებზე კონკრეტული პასუხები მიეღო. წამყვანი სტუმრებს კარგ ოპონირებას უწევდა და საინტერესო კითხვებს უსვამდა.

გადაცემა **„დაიცავი ოჯახი ძალადობისგან“,** რომელიც ჟურნალისტს ნატო მეგუთნიშვილს მიჰყავდა, ტელეკომპანია „თანამგზავრის“ ეთერში 16 ოქტომბერს გავიდა. გადაცემის თემა იყო: მედიის როლი და ფუნქცია ოჯახური ძალადობის პრობლემის პრევენციისა და მასთან ბრძოლის საქმეში.

გადაცემის სტუმრები მონიტორინგის სუბიექტები არ ყოფილან.

"თრიალეთი" (ქ. გორი) - ტელეკომპანიის ეთერში 15 ოქტომბერს ერთსაათიანი თოქ-შოუ **"თვალსაზრისი"** გავიდა. გადაცემის დასაწყისში წამყვანი ლადო ბიჭაშვილი ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების შესახებ საკუთარ თვალსაზრისს გამოთქვამდა. მან საკუთარი მოსაზრების გასამყარებლად ექსპერტის ციტატაც მოიყვანა, თუმცა რომელი ექსპერტის - არ დაუკონკრეტებია.

გადაცემაში, რომლის თემაც იყო “სამოქალაქო საზოგადოების როლი მმართველობაში”, მიწვეული იყვნენ მოქალაქე არინა თავაქარაშვილი და ექსპერტი შალვა ტლაშაძე. სტუდიაში

დარეკვა მაყურებლებსაც შეეძლოთ. წამყვანი ცდილობდა მხოლოდ მოდერატორის როლში ყოფილიყო, თუმცა ზოგჯერ, დასმულ კითხვასთან დაკავშირებით, მოკლე რეპლიკით თავადაც გამოთქვამდა აზრს. კითხვის დასმის შემდეგ ჟურნალისტი ცდილობდა სტუმრებისგან ამომწურავი პასუხი მიეღო და თითოეულ რეპლიკას ჩასძიებოდა.

გადაცემა "თქვენი აზრი" საანგარიშო კვირაში ორჯერ (16 და 18 ოქტომბერი) გავიდა ეთერში. თოქ-შოუ ორი ბლოკისგან შედგებოდა: წამყვანი მიმოიხილავდა თემას და მის ირგვლივ მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს, რეკავდნენ მოქალაქეები და თემის ირგვლივ აზრს გამოთქვამდნენ; სტუდიაში მიწვეული სტუმრები დასმულ პრობლემებს განიხილავდნენ.

გადაცემის თემები იყო:

- სოჭის ოლიმპიადაში მონაწილეობის მიღება/არმიღების საკითხი;
- ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნის საჭიროება.

სტუდიაში მიწვეული სტუმრები ახალგაზრდული მოძრაობა "დროას" წევრი ლევან ხაბეიშვილი და "დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველსთვის" ზაზა სოფრომაძე იყვნენ. აღსანიშნავია, რომ ორივე სტუმარი ერთ კონკრეტულ მხარეს წარმოადგენდა და სტუდიაში განსხვავებული აზრი არ გაჟღერებულა.

გადაცემის წამყვანი გვანცა დოლუაშვილი ხშირად ციტირებდა პოლიტიკოსების განცხადებებს. სტუმრებთან საუბრისას კი თავს იკავებდა შეფასებებისგან და ცდილობდა მათთვის კრიტიკული კითხვები დაესვა. 18 ოქტომბრის გადაცემაში გაშუქდა სიუჟეტი, სადაც პრეზიდენტობის კანდიდატები კობა დავითაშვილი ("ხალხის პარტია"), გიორგი თარგამაძე ("ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა") და ნინო ბურჯანაძე ("დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოსთვის") თემსათან დაკავშირებით საკუთარ აზრს აფიქსირებდნენ.

"სპეციალური გადაცემა" საარჩევნო ფორმატისაა და საანგარიშო პერიოდში ეთერში ორჯერ გავიდა. 55 წუთიან თოქ-შოუს პირველად ლადო ბიჭაშვილი, მეორედ კი გიორგი ახალკაცი უძღვებოდნენ.

გადაცემაში პრეზიდენტობის კანდიდატების კობა დავითაშვილის ("ხალხის პარტია") და თამაზ ბიბილურის (საინიციატივო ჯგუფი) საარჩევნო პროგრამებს და დაპირებებს განიხილავდნენ. გადაცემის ფორმატიდან გამომდინარე, კანდიდატებს მხოლოდ საკუთარ საარჩევნო კამპანიაზე უნდა ესაუბრათ. მიუხედავად ამისა, ორივე სტუმარმა სხვა პოლიტიკური ძალები არაეთიკურად არაერთხელ მოიხსენიეს, თუმცა წამყვანებს ისინი არ შეუჩერებია. ორივე წამყვანი ცდილობდა ჩაძიებოდა სტუმრის პასუხებს და საშუალება არ

მიეცათ კანდიდატებისთვის არასასურველი კითხვებისთვის თავი აერიდებინათ. წამყვანი ლადო ბიჭაშვილი საკუთარ შეფასებებსაც აკეთებდა. მან დასვა კითხვები სხვა პოლიტიკური ძალების შესახებაც, მუხედავად იმისა, რომ გადაცემაში წარმომადგენელი არ ჰყავდა მიწვეული.

"გურია" (ქ. ოზურგეთი) - საანგარიშო კვირაში ტელეკომპანიას თოქ-შოუ არ მოუმზადებია.

"იმერვიზია" (ქ. ჭიათურა) - საანგარიშო კვირაში ტელეკომპანიას თოქ-შოუ არ მოუმზადებია.

"გურჯაანი" (ქ. გურჯაანი) - **თოქ-შოუ "ძალა უძალოთა"** ტელეკომპანიის ეთერში 18 ოქტომბერს გადაიცა და მთლიანი დრო ერთ-ერთი საინიციატივო ჯგუფის პრეზიდენტობის კანდიდატ მიხეილ (გელა) სალუაშვილს დაეთმო.
თოქ-შოუს წამყვანი ლევან ალექსიშვილი ისეთ კითხვებს სვამდა, რომ საზოგადოებას კანდიდატის შესახებ მეტი ზოგადი ინფორმაცია მიეღო. გადაცემის მეორე ნაწილში კი ჟურნალისტი სტუმარს უფრო კრიტიკულ კითხვებს უსვამდა, მისგან კონკრეტული პასუხების მიღებას ცდილობდა და რესპონდენტისგან ფაქტებით გამყარებულ არგუმენტებს მოითხოვდა. თუმცა კითხვების დასმისას მიკერძოება არ იგრძნობოდა. პრეზიდენტობის კანდიდატს საშუალება ჰქონდა საკუთარი პოზიცია თავისუფლად დაეფიქსირებინა.

არხმა 15 ოქტომბრის საღამოს ეთერი **გადაცემა "დიალოგს"** დაუთმო. გადაცემის თემა სოფლის პრობლემების მოგვარება, ხოლო სტუმარი სოფელ გურჯაანის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული ნოდარ რექვიაშვილი იყო.

20 ოქტომბერს **გადაცემა „თქვენი პარლამენტი“** გავიდა. გადაცემა ამერიკის შეერთებული შტატების განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) და "ინტერნიუსი-საქართველოს" პროექტის, „პარლამენტის კომუნიკაციების ცენტრი“ ფარგლებში მზადდება.
“ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” წარმომადგენლებმა გადაცემაში მონაწილეობის მიღებაზე უარი განაცხადეს. წამყვანმა სტუმარს, გორის მაჟორიტატ დეპუტატ, კოალიცია "ქართული ოცნების" წევრ მალხაზ ვახტანგაშვილს რეგიონალური ტელევიზიების მომზადებული კითხვები დაუსვა. გადაცემის თემა იყო: კანონის გამკაცრება "გადაუდებელი

დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრში (112)" განხორციელებული ანონიმური მუქარის ზარების ან შეურაცხყოფის მიყენების გამო.

მეგა ტვ" (ქ. ხონი) - საანგარიშო კვირაში ტელეკომპანიას თოქ-შოუ არ მოუმზადებია.

"მე-9 ტალღა" (ქ. ფოთი) - საანგარიშო კვირაში, 18 ოქტომბერს, ტელეკომპანიის ეთერში **თოქ-შოუ „არჩევანი 2013“** გავიდა, რომელსაც ჟურნალისტი თეა აბსარიძე უძღვებოდა. თოქ-შოუ „საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციასთან“ ერთად მედიასექტორული თანამშრომლობის პროექტის „არჩევანი 2013“-ის ფარგლებში მზადდება და IREX-ის G-MEDIA პროგრამის მხარდაჭერით ხორციელდება.

თოქ-შოუში სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების (კოალიცია „ქართული ოცნება", „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრობა“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „ხალხის პარტია“), აგრეთვე საინიციატივო ჯგუფის პრეზიდენტობის კანდიდატი ნინო ჭანიშვილის და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

გადაცემა სამი ნაწილისაგან შედგებოდა და მთლიანად წინასაარჩევნო თემატიკას ეძღვნებოდა. თოქ-შოუს პირველ ნაწილში სტუმრებს საკუთარი საპრეზიდენტო კანდიდატის საარჩევნო პროგრამის წარდგენისთვის 3-3 წუთი მიეცათ. ამ დროის განმავლობაში სტუმრები ოპონენტთა მიმართ კრიტიკულ შეფასებებს გამოთქვამდნენ, თუმცა სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევები არ ყოფილა.

გადაცემის მსვლელობისას წამყვანი მედიატორის როლში გვევლინებოდა და სუბიექტურ კომენტარებს არ აკეთებდა.

გადაცემის მეორე ნაწილში წამყვანმა სტუმრებს რამდენიმე შეკითხვით მიმართა. საუბარი, ძირითადად, ეკონომიკის განვითარების შესაძლებლობებსა და ხელისშემშლელ ფაქტორებზე გამახვილდა. სტუმრებს პასუხისთვის 2-2 წუთი მიეცათ. გადაცემის სტუმრებს შორის პოლემიკა გაიმართა. გადაცემის მესამე ნაწილი განსაკუთრებული ინტერაქტიულობით გამოირჩეოდა: სტუდიაში მიწვეულ არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს და ჟურნალისტებს, აგრეთვე მაყურებლებს, სატელეფონო ჩართვებით, შესაძლებლობა ჰქონდათ პირდაპირ ეთერში ნებისმიერი სტუმრისათვის სასურველი შეკითხვა დაესვათ. წამყვანი მაქსიმალურად ნეიტრალური იყო და სიტუაციის დაბალანსებას ცდილობდა.

საანგარიშო კვირის განმავლობაში მონიტორინგის დაკვირვების ქვეშ კიდევ ერთი თოქ -შოუ მოექცა. ამერიკის შეერთებული შტატების განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) და "ინტერნიუსი-საქართველოს" პროექტის,

„პარლამენტის კომუნიკაციების ცენტრის“ ფარგლებში მომზადებული **გადაცემა „თქვენი პარლამენტი„** ეთერში 18 ოქტომბერს გავიდა.

გადაცემა ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონში ცვლილების შეტანის საკითხს ეხებოდა, რომელიც დევნილთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას ითვალისწინებს. გადაცემის სტუმარი გორის მაჟორიტარი დეპუტატი მალხაზ ვახტანგიშვილი იყო. აღსანიშნავია, რომ გადაცემაში მონაწილეობაზე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელმა უარი განაცხადა, ამიტომ კოალიციის წევრმა ტელეკომპანია „თრიალეთის“ მიწოდებულ შეკითხვებს უპასუხა და კანონ-პროეტის უპირატესობაზე გაამახვილა ყურადღება.

გადაცემა კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა, სადაც მწვავე და კრიტიკული შეკითხვები არ დასმულა.

ტელეჟურნალი „მრავალკუთხედი“

„რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციის“ ყოველკვირეული ტელეჟურნალი „მრავალკუთხედი“ კვირაში ერთხელ, სხვადასხვა დროს ეთერში შემდეგ არხებზე გადის: **„ქვემო ქართლის ტელე-რადიო კომპანია,“ “25-ე არხი“, „თანამგზავრი“, „ოდიში“ „მეცხრე ტალღა“ „რიონი“, „იმერვიზია“, „გურჯაანი" და „მეცხრე არხი“.**

საანგარიშო კვირაში „მრავალკუთხედის“ ერთი გადაცემა გავიდა. ამ გადაცემაში, სხვა ტელეჟურნალებისგან განსხვავებით, სტუდიაში სტუმრები არ იმყოფებოდნენ. სიუჟეტები კი შემდეგ თემებზე იყო მომზადებული:

- დევნილთა ჩასახლებების პრობლემები;
- მოსავლის აღება დასრულდა. ფერმერები საშემოდგომო სამუშაოებს აფასებენ;
- საქართველო იუნესკოს გადაწყვეტილების მოლოდინში: გახდება თუ არა ქვევრის ღვინის დამზადების ქართული ტექნოლოგია საერთაშორისო კულტურული მემკვიდრეობის არამატერიალურ ძეგლი;
- არჩევნებამდე ერთი კვირა რჩება. როგორ მიმდინარეობს წინასაარჩევნო პროცესი რეგიონებში.

სიუჟეტებში დეტალურად იყო განხილული საკითხები, წარმოდგენილი იყო ყველა დაინტერესებული მხარე. შესაბამისად, სიუჟეტები დაბალანსებული იყო.

მრავალკუთხედის სიუჟეტებში წარმოდგენილი იყო ყველა მხარე,

სოციალური რეკლამების მონიტორინგი

მონიტორინგის ფარგლებში ასევე დაკვირვება მოხდება სოციალურ რეკლამებზე. "რეკლამის შესახებ კანონის" მე-12 მუხლში სოციალური რეკლამა განმარტებულია როგორც "საზოგადოებრივი სიკეთის ხელშეწყობისა და საქველმოქმედო მიზნების მიღწევისაკენ მიმართული რეკლამა, რომელიც არ არის არც კომერციული და არც წინასაარჩევნო რეკლამა და არ შეიცავს კერძო სამართლის იურიდიული პირის ან სამთავრობო დაწესებულების, აგრეთვე მათ მიერ გაწეული მომსახურების რეკლამას *(9.06.2006 N3245)".* დაკვირვება მოხდება იმაზე, თუ რამდენად აკმაყოფილებს ესა თუ ის სოციალური რეკლამა ამ სტატუსის რეკლამისთვის კანონით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს და ხომ არ შეიცავს "ფარული პოლიტიკური რეკლამის" (სამთავრობო დაწესებულებების, აგრეთვე მათ მიერ გაწეული მომსახურების რეკლამირება) ნიშნებს. თვისებრივი კვლევის პარალელურად დაითვლება "ფარული პოლიტიკური რეკლამის" ნიშნების შემცველი სოციალურე რეკლამების ეთერში გასვლის სიხშირეც.

მონიტორინგის შედეგები: საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანიების ეთერში გასულ სოციალურ რეკლამებში ფარული პოლიტიკური რეკლამის ნიშნები არ შეინიშნებოდა.

მომავალში განსახორციელებელი სამუშაო:

დაგეგმილია 21-27 ოქტომბრის მანძილზე განხორციელებული რეგიონალური მაუწყებლების მონიტორინგის მეოთხე ეტაპის ანგარიშის მომზადება.

ანგარიში შექმნილია ამერიკელი ხალხის მხარდაჭერით აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს საშუალებით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია "ინტერნიუსი-საქართველო" და იგი შესაძლოა არ ასახავდეს საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის, აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ან აშშ-ს მთავრობის შეხედულებებს.